განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მედიცინის სადოქტორო პროგრამა
ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, თბილისი

შეფასების თარიღ(ებ)ი 9-10 ოქტომბერი, 2018
დასკვნის წარდგენის თარიღი:

თბილისი
2018 წელი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი არაკომერციული იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი:	404987332
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მედიცინის სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	VII- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო/ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მედიცინის დოქტორი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	360
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მიჰალი ბოროშ, პროფესორი , სეგედის სამედიცინო სკოლის უნივერსიტეტი, სეგედი, უნგრეთი
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სალომე ხუბულავა, დოქტორანტურის სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ივანე აბიათარი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წინამდებარე ანგარიში შეადგინა ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც დანიშნა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, დამოუკიდებელმა ოფიციალუმა ორგანომ, იმისათვის რომ ჩაეტარებინა ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის (შემდგომში დაწესებულების) სადოქტორო სამედიცინო პროგრამის საექსპერტო შეფასება, თვითშეფასების ანგარიშის, დამხმარე დოკუმენტაციისა და დაწესებულებაში ვიზიტის საფუძველზე. დადგინდა, რომ თვითშეფასების ანგარიში შექმნილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტების მიხედვით და მართალია, ზოგან განმეორებადია, მაგრამ მაინც მოიცავს საკმარისი რაოდენობის მონაცემებს. საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია შეგროვდა დამატებითი დოკუმენტებიდანაც, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფს მიაწოდა დაწესებულებამ. დოკუმენტები მოიცავდა კურიკულუმის გეგმას, სადაც მითითებულია სასწავლო საგნები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (სპირალური კურიკულუმის მოდულები, რომლებიც ორგანიზებულია ოთხ ციკლად), სავალდებულო და არჩევითი საგნების აღწერა და თითოეული საგნისთვის მინიჭებული კრედიტების რაოდენობა. საგნის სილაბუსებისთვის მოცემული იყო ლექტორების, პრაქტიკუმების რაოდენობა, ასევე წარმოდგენილი იყო ინფორმაცია ტუტორების, ტრენერებისა და მათი კვალიფიკაციის/გამოცდილების (რეზიუმეები) შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფმა მის ხელთ არსებული მონაცემები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით შეაფასა ადგილზე ვიზიტის განხორციელებამდე და დოკუმენტთა უფრო ფართო ანალიზი ჩატარდა „განვითარების დასკვნის ანგარიშის“ დამატებითი მონაცემებით (4-5 დეკემბერი 2017), რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიაწოდა ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულებაში ვიზიტის განხორციელების დღეს. ამგვარად, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შედარებების გაკეთების შესაძლებლობა, კერძოდ იმის შეფასება, თუ რამდენად მიიღო მხედველობაში დაწესებულებამ წარსულში ექსპერტთა მიერ მიცემული რჩევები და რეკომენდაციები (ჩამოთვლილია თვითშეფასების ანგარიშის მე-8 გვერდზე).

მონაცემთა კრებული მოიცავდა საკმარის ინფორმაციას პროგრამის ხარისხის, კურსის შინაარსის, განხორციელებისა და შეფასების შესაფასებლად. დაწესებულების მედიცინის სადოქტორო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2013 წელს და განხორციელდა 2014 წელს ინგლისურ ენაზე. დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანალიზში მოცემული აღწერითი სტატისტიკის თანახმად, სრულ განაკვეთზე მომუშავე მასწავლებლების რაოდენობა ამჟამად 65-ს შეადგეს, გარე პარტნიორები, მოწვეული პერსონალის წევრები: 72, მეცნიერთა რაოდენობა კი 50-ის ტოლია. კანდიდატებისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მუდმივად მზარდია, საერთო რაოდენობამ 2014 და 2017 წლებში 1507-ს მიაღწია (თვითშეფასების ანგარიში მოიცავს გამოგდებულებსაც), მათგან 1502-ს საერთაშორისო სტუდენტის სტატუსი მიენიჭათ. ხაზი უნდა გაესვას, რომ პირველი სტუდენტები ახლა VIII-IX სემესტრში არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ პროგრამა ჯერ არ დასრულებულა, შესაბამისად ჯერ არ არის ხელმისაწვდომი დასკვნითი გამოცდების შედეგები, კურსდამთავრებულებისა თუ დამსაქმებელთა უკუკავშირი პროგრამის შესახებ.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ადგილზე განხორციელებული ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფს საორგანიზაციო ხელმძღვანელობა გაუწია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა. ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა ჩამოთვლილი დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებთან:

- დეკანთან და საუნივერსიტეტო კლინიკის ლიდერებთან
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის მენეჯმენტთან და ადმინისტრაციასთან და სამედიცინო ფაკულტეტთან
- თვითშეფასების ანგარიშის შემდგენ სამუშაო ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტის წარმომადგენლებთან
- აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან, სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებთან
- მოწვეული პერსონალის წარმომადგენლებთან
- სტუდენტთა წარმომადგენლებთან, კერძოდ სტუდენტთა თვით-არჩეულ ჯგუფთან, რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ ინტერვიუზე
- დამსაქმებელთა წარმომადგენლებთან

2018 წლის 9 ოქტომბერს ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მოკლე ტური საუნივერსიტეტო კლინიკის კეთილმოწყობის დასათვალიერებლად, 2018 წლის 10 ოქტომბერს კი ეწვია სალექციო ოთახებსა და აუდიტორიებს, სტუდენტურ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, სისხლის ბანკსა და სიმულაციის ცენტრს, ასევე სამედიცინო ფაკულტეტის მთავარი შენობის სხვა ფლიგელებს. იმავდროულად კითხვა-პასუხის რეჟიმში მოკლე შეხვედრები გვქონდა პერსონალის იმ წევრებთან, რომლებიც წინასწარ დაგეგმილ მოსმენებს არ ესწრებოდნენ. დაბოლოს, ბოლო შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, მთავარი მიგნებების წარსადგენად. ანალიზი შესრულდა შედეგების ირგვლივ მოკლე დისკუსიით. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა შეხვედრა და ვიზიტი განხორციელდა ძალიან მხარდამჭერ გარემოში.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

დაწესებულების სამედიცინო პროგრამა შეფასდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაწესებული სტანდარტების მიხედვით, რომლებიც მოიცავს საერთო ჩარჩოს სამედიცინო კომპეტენციის უზრუნველსაყოფად და მათ დასახმარებლად, ვინც მუშაობს კურიკულუმების განვითარებაზე საერთო, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მისაღები სტანდარტების მისაღწევად. გარე საექსპერტო მიმოხილვის ჯგუფმა, ამ გადმოსახედიდან, პუნქტების მიხედვით შეაფასა დაწესებულების საბაკალავრო კურიკულუმი; მათ შორის საგანმანათლებლო და სასწავლო პროცესები; საგანმანათლებლო მეთოდები, დაწესებულებები, რესურსები და გამოყენებული ტექნიკები; შეფასების პროცესი და განათლებისა და სწავლების საბოლოო პროდუქტის კრიტერიუმები.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გამოხატეს საერთო მოსაზრება, რომ დაწესებულება, როგორც ძალიან ახალგაზრდა უსდ, ავლენს საკმაოდ სტაბილურ ფონს, შთამბეჭდავი, დინამიურად განვითარებადი ევოლუციური სვლით. სტუდენტებიცა და ტუტორებიც იჩენენ ძლიერ ძალისხმევას, მოიპოვონ მაღალი დონის პროფესიონალიზმი და პრობლემის გადაწყვეტისთვის საჭირო სამედიცინო უნარები, რომლებზეც შემდგომ შესაძლებელია დამატებითი საკლინიკო სწავლებისა და სამედიცინო პრაქტიკის დაშენება. განათლების ამჟამინდელ სტატუსთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა დაწესებულების უამრავი ძლიერი მხარეები, რომლებიცა: 1.ენთუზიაზმით სავსე, კარგად მომზადებული და მაღალ-კვალიფიციური პერსონალი; 2. დაინტერესებული, აქტიური, მაღალი დონის სტუდენტები; 3. პერსონალის წევრების ძალისხმევა სწავლებისა და კვლევის კუთხით; 4. ძლიერი ხელმძღვანელობა და 5. კარგი ინფრასტრუქტურა. თუმცა არის საკითხები, რაშიც პროგრამა ან მისი კომპონენტები სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი სრულიად დარწმუნებულია, რომ დაწესებულებას შეუძლია მომავალში ამ ხარვეზების გამოსწორება.

- **რეკომენდაციები**

1. ჯგუფების ზომები წინა-საკლინიკო პრაქტიკუმებზე მისაღებია, მაკრამ კლინიკის საგნებში სასურველია ინდივიდუალური წვდომა რეალური კლინიკის სიტუაციებზე.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ლაბორატორიის განვითარებას პრაქტიკული კურსებისთვის.

3. ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს სტუდენტთა აქტიური ჯგუფის დანერგვაზე (სტუდენტთა სამეცნიერო წრის შექმნაზე), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და მკვლევართა ჯგუფთან დაკავშირებას, რამაც სანაცვლოდ შესაძლოა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის განვითარებას კვლევისა და განათლების კუთხით. პირველ რიგში ინდივიდუალური სტუდენტები, შემდეგ სტუდენტთა არაოფიციალური ჯგუფები და შემდეგ სტუდენტთა ასოციაციები უნდა დაჯილდოვდნენ, წახალისდნენ და მიეცეთ მოტივაცია, რომ განახორციელონ ეს აქტივობები ფაკულტეტის ბაზაზე.

4. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სტუდენტთა მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო პროექტებში ამჟამინდელი სქემის ფარგლებში.

5. კვლევის მაღალი ხარისხი უმეტესად ეყრდნობა ინდივიდუალური მკვლევარის მოტივაციას და აკლია კვლევის შედეგების სისტემატური და რეგულარული განხილვები. მეტი სქემის შემუშავება შეიძლება კვლევის მაღალი ხარისხის აღიარებისთვის, მაგალითად ფაკულტეტის ვებ-გვერდის ან სასწავლო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების გადანაწილების გზით.

6. მოცემულია კურსის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, თუმცა კლინიკის კურიკულუმში/სილაბუსში ასევე მოცემული უნდა იყოს კონკრეტული მიზნები, კომპეტენციები, განსაზღვრული შეფასება და ჩააბარა-ჩაიჭრას შესაბამისი კრიტერიუმები (დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვებისთვის საჭირო მინიმალური ქულა, გამოცდის გადაბარების წესი და ა.შ), სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, თუ რა სტანდარტები და ჩაბარება/ჩაჭრის რა კრიტერიუმები გამოიყენება მათი შეფასებისას.

7. რეკომენდებულია დამოუკიდებელი სტუდენტური ასოციაციის (სტუდენტთა თვითმმართველობის) აქტიური მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ასეთი ორგანიზაციის უსაზღვრო პოტენციალს, რომელიც სცილდება საკურსო დონეს (მისი გაფართოვება შეიძლება კურსდამთავრებულებზეც). შესრულების კონტროლი თავად სტუდენტების მიერ (კერძოდ სტუდენტთა ასოციაციის), იძლევა პროგრამის ეფექტურობის უფრო ობიექტურად შეფასების შესაძლებლობასა და კურიკულუმის იმ მხარეთა გამოვლენის საშუალებას, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. რაც მთავარია, სტუდენტები მოტივირებული არიან პასუხი გასცენ სტუდენტთა გამოკითხვებს და სჯერათ, რომ ამით შესაძლებელია პროგრამის გაუმჯობესება.

8. ფაკულტეტის შემოსავლები და ხარჯი და კლინიკური ჰოსპიტალის ინტეგრირება ფაკულტეტის ფისკალურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამჭვირვალე.

9. სუბსიდიების გადანაწილების წესი (ბიუჯეტი); უფრო კონკრეტულად: განყოფილებებს/ერთეულებს შორის შიდა გადანაწილების შესახებ ფაკულტეტის გადაწყვეტილებების წესი უნდა რეგულირდებოდეს; როგორ ხდება იმის უზრუნველყოფა,

რომ თითოეულმა ერთეულმა, ყოველწლიურად მიაღწიოს დაბალანსებულ ფინანსურ შედეგებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სტუდენტებს უნდა ჰყავდეთ მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა დაწესებულების მართვისა და ფაკულტეტის ორგანოებში.

2. დაწესებულების მენეჯმენტს უნდა ესმოდეს, რომ საჭიროა სამეცნიერო სტრატეგიაზე მუშაობა.

3. პროგრამა 2014 წელს დაიწყო, შესაბამისად კურსდამთავრებულების გარეშე სწავლის შედეგების აზრიანი შეფასება ცოტა რთულია. ჩვენი რჩევით, იმ სტუდენტთა რაოდენობა, ვინც განაგრძობს სასწავლო პროცესს - ჩააბარებს კურსდამთავრებულთა სამედიცინო სალენზიო გამოცდას ან USMLE გამოცდებს - დაიწყებს რეზიდენტურას ან გახდება დოქტორანტურის სტუდენტი, იქნება საუკეთესო მაჩვენებლები ამ მიზნისთვის.

4. სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს და კარგად არის განსაზღვრული საშუალო დონეზე (ციკლების მიხედვით) და მაკრო დონეზე (ლექციების/პრაქტიკუმების მიხედვით). ეს შედეგები განახლდა გასულ წლებსა და თვეებში და უმეტესად შეესაბამება მსგავსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლის შედეგებს. თუმცა, მიუხედავად ამ შესაბამისობისა, ფაკულტეტზე არ ჩანს ადეკვატურად კონკრეტული საბოლოო სწავლის შედეგები ცოდნასთან, უნარებთან და მიდგომებთან ან ქცევებთან დაკავშირებით, რითაც შესაძლებელია კურიკულუმის შესახებ გადაწყვეტილებების მართვა. დღეის მდგომარეობით, სწავლის შედეგები ძალიან ზოგადია და არ არის საკმარისად კონკრეტული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამისთვის. უფრო მეტიც, უფრო ეფექტური გაზომვის მიზნით, ჩვენ გირჩევთ შეამციროთ სწავლის შედეგების რაოდენობა (დაახლოებით 15-ზე ნაკლები), გახადოთ რა ისინი უფრო ლაკონური.

5. იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების ენა ინგლისურია, ფაკულტეტისთვის სასარგებლო იქნება სწავლის შედეგების საერთაშორისო ჩარჩოების შემოღება, რაც კურიკულუმის შემუშავებისა და მონიტორინგისთვის უფრო ეფექტური პროცესის წარმართვას განაპირობებს , ასევე გაამლიერებს შედეგებზე დაფუძნებული პარადიგმით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს. ამ ჩარჩოების შემოღება ასევე მიაწვდის სტუდენტს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ელოდებიან მათგან - აუცილებელია იმ სამედიცინო უნარების განსაზღვრა, რომელსაც სტუდენტი სრულყოფილად უნდა დაეუფლოს სასწავლო პროგრამის დასრულებამდე. იმის გათვალისწინებით, რომ კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი უახლოეს სემესტრებშია მოსალოდნელი, ახლა სწორედ სათანადო დროა ამ ჩარჩოების შემოსაღებად.

6. სტუდენტების/სასწავლო წლების რეალური რაოდენობა ყოველთვის დამოკიდებულია ადამიანურ (ტუტორების რაოდენობა) და სხვა (ინფრასტრუქტურა, სივრცე და სხვა) სასწავლო რესურსებზე. ადრეული გაფრთხილების სახით, სასწავლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა უნდა დაიგეგმოს ფაკულტეტის საბჭოს მონაწილეობით. ფაკულტეტის პერსონალის ამჟამინდელი სამუშაო დატვირთვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით რაც შეეხება კლინიკის მასწავლებლებს და არამხოლოდ მათ, გარდა იმისა, რომ საჭიროა ახალი სასწავლო-მკვლევარი პერსონალის წევრების დაქირავება, მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა სამედიცინო განათლების ხარისხის შემცირების მნიშვნელოვან რისკს აჩენს.

7. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია მაღალი ზღვრის დაწესება.

8. ფაკულტეტმა ექსპერიმენტები უნდა ჩაატაროს ახალი მოდულებით, რომლებიც მიზნად ისახავს ძირითადი და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრირებას ლაბორატორიულ და კლინიკურ უნარებთან. მაგალითად: სისხლის ბანკის აქტივობების, ტრანსფუზიოლოგიისა და კვლევითი აქტივობების დაკავშირება ერთმანეთთან.

9. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართულ ენოვან სწავლებას და კომუნიკაციის უნარს ქართულ ენაზე.

10. კურსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს თანაკურსელთა სწავლება - მეოთხე დონის სტუდენტები ეხმარებიან პირველი დონის სტუდენტებს არაოფიციალური გზით. ამგვარი სწავლების დეტალები არ არის განხილული თვითშეფასების ანგარიშში და ჩვენი რჩევაა, ეფექტური მექანიზმების შემუშავება, როგორიცაა შეხვედრები სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის, რათა მოხდეს მეთოდის ეფექტურობის ანალიზი და თანამშრომლობა უკეთესი გამოსავლის მოსაძებნად. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად მსგავსი ცვლილებების განხორციელების სურვილისა, საჭიროა კურიკულუმის სტრუქტურის, სწავლებისა და შეფასების მდგრადი და ეტაპობრივი ცვლილება, ეს უკეთესია მკვეთრ რეფორმებზე, რომელთაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან ფაკულტეტის ამჟამინდელ ფუნქციონირებას.

11. კურსების სილაბუსები შესაძლოა უფრო ინფორმაციული იყოს, კერძოდ ლექტორების საკონტაქტო ინფორმაციისა და საკონსულტაციო საათების შესახებ და კონკრეტულ კურსებზე გამოყენებული შეფასების სისტემების კრიტერიუმები უკეთესად უნდა იყოს წარმოდგენილი.

12. სასურველია ჟურნალის კლუბების ორგანიზება.

13. სტუდენტური აქტივობების ორგანიზებისთვის შესაძლოა საჭირო იყოს ფინანსური მხარდაჭერა, თუმცა თანხების გამოყოფის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე.

14. გააუმჯობესეთ სასწავლო სივრცეების ხარისხი; მაგალითად, მთავარი შენობის ეზოში შესაძლებელია სკამებისა და მაგიდების განთავსება. ეს იქნება რენტაბელური მეთოდი, რომელიც ხშირად აუთვისებელ ტერიტორიას დამატებით სასწავლო სივრცედ გარდაქმნის.

15. ფაკულტეტმა ორგანიზება უნდა გაუწიოს მეტ დამატებით აქტივობებს, რათა ჩამოყალიბდეს ერთიანობის უფრო მეტი შეგრძნება.

16. სტუდენტთა წარმომადგენლებს მეტი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ ფაკულტეტის მენეჯმენტთან და მასწავლებლებთან ფაკულტეტის სხვადასხვა ორგანოებში, სადაც მათ რჩევებს მხედველობაში მიიღებენ.

17. თუკი მისაღები სტუდენტების რაოდენობა იზრდება, მაშინ საჭირო იქნება დეტალური ანალიზი როგორც სწავლების მოცულობის, ასევე პერსონალის მოტივაციისა და ხელმისაწვდომობის. განსაკუთრებით დამაფიქრებელია სასწავლო პერსონალის გადატვირთვის შესაძლებლობა და მისი თანმდევი ვარდნა სწავლების ხარისხის კუთხით.

18. ამჟამად, ფაკულტეტში არ შეინიშნება სისტემა, რომლითაც სხვადასხვა სფეროებში დასაქმებულების წვლილი შეფასდება. ერთი შესაძლო სქემა იქნება, თუკი ყველა თანამშრომლის წვლილი შეფასდება ჩამოთვლილ სამ სფეროში: (1) სამეცნიერო/კვლევითი, (2)

სასწავლო და (3) ადმინისტრაციის/კომიტეტის წევრობა. ამ გზით შესაძლებელია სამუშაო დატვირთვის გადაბალანსება ან გადანაწილება ისე, რომ მოხდეს თითოეული თანამშრომლის ძლიერი მხარეების მაქსიმალურად ათვისება.

19. სასურველია, რომ ფაკულტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა (ორგანოგრამა) წარმოდგენილი იყოს ვებ-გვერდზე, რათა მოხდეს თითოეული სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კლინიკური ორგანიზაციული ერთეულის მუშაობისა და მათ შორის შეთანხმების ვიზუალიზაცია, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პროფესიული აქტივობებიდან წამოჭრილი დავალებების მიხედვით. ეს უნდა იყოს პროფესიონალ და ადმინისტრაციულ დავალებათა ნუსხაში.

20. პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა ფაკულტეტს შესაძლებლობას მისცემს ხელი შეუწყოს საკუთარ თავს იმისათვის, რომ დაასაქმოს საუკეთესო პერსონალი და თანამშრომლები, ასევე მოიპოვოს ეროვნული და საერთაშორისო დაფინანსებები ამ აქტივობების მხარდასაჭერად.

21. ასევე საჭირო იქნება, განსაზღვრული სამუშაოს - კვლევის დღის წესრიგში არსებული - მაჩვენებლების მონიტორინგის, შეფასებისა და განხილვის მექანიზმები .

22. ფაკულტეტის კვლევითი პერსონალის ინდივიდუალურ წევრებს დიდი რაოდენობით მაღალ კვალიფიციური კოლაბორაციები აქვთ. არსებობს ფარგლები ამ კვლევითი კოლაბორაციების გასაუმჯობესებლად ინსტიტუციური კოლაბორაციების დონეზე - შესაბამისად იქმნება საფუძველი მაღალი ხარისხის დასაგროვებლად.

23. ფაკულტეტის აკადემიური მმართველობის პასუხისმგებლობები პერსონალური განვითარების პროგრამისთვის მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. უნდა ჩამოყალიბდეს წახალისების კრიტერიუმები და იყოს გამჭვირვალე.

24. შესაძლებელია საბიბლიოთეკო რესურსების მუდმივი განვითარება და ფაკულტეტმა უნდა განაგრძოს მუშაობა ელექტრონული-სამეცნიერო რესურსების გამდიდრებაზე. გარდა ამისა, სასარგებლო იქნება ახალი სტუდენტებისთვის გაცნობითი სესიების ორგანიზება იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ საბიბლიოთეკო რესურსები.

25. ფაკულტეტს უნდა ჰქონდეს პოლიტიკა, რომელიც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამასა და სტუდენტთა კვლევით აქტივობებში ინფორმაციული ტექნოლოგიების უფრო ეფექტურ გამოყენებას (Google-ზე დაფუძნებული პლატფორმა კარგია, მაგრამ მას აქვს შეზღუდვები, როგორიცაა პირდაპირი შეფასება ლექტორისგან, ინტერაქცია და ა.შ. - დაწესებულებამ შესაძლოა განავითაროს ეს რესურსი უახლოეს მომავალში).

26. ფაკულტეტმა უნდა გააუმჯობესოს ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა იმისათვის რომ განავითაროს სტუდენტთა გამოცდილება უნივერსიტეტში. ლაბორატორია აღჭურვილია პრაქტიკული კურსებისთვის მიკრობიოლოგიასა და ბიოქიმიაში, თუმცა საჭიროა დამატებითი გაუმჯობესება, რათა იგი მისაღები იყოს სამეცნიერო კვლევებისთვის (მათ შორის, მაგალითად მოლეკულური ბიოლოგიისთვის).

27. კლინიკურ განათლებაში სასურველია მთავარი სასწავლო ბაზების (კლინიკური ჰოსპიტალების) რეგულარული შეფასება იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაბამისი და ხარისხიანია პრაქტიკული სასწავლო პროგრამისთვის.

28. დამატებითი დაფინანსების მობილიზების დამატებითი შესაძლებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებით R&D გრანტებისა და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა უნდა მოხდეს, გამჭვირვალე წესით.

29. ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი არ უნდა იყოს იგივე პიროვნება, რომელსაც დაკისრებული აქვს გლობალური პასუხისმგებლობა უნივერსიტეტში ხარისხიანი გადამზადების უზრუნველსაყოფად. ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელისთვის ვიცე-თავმჯდომარის დანიშვნა დადებითი მაჩვენებელი იქნებოდა ცნობიერებისა, ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარების საჭიროების მიმართულებით. ეს მოთხოვნა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სწავლების ხარისხის კონტროლში ჩართული ყველა პირი დარჩება დამოუკიდებელი და ღია, სფეროში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილებისთვის.

30. განყოფილებების უფროსებს შეუძლიათ წარმოადგინონ ყოველწლიური ანგარიშები, რომელთაც განიხილავენ ფაკულტეტის საბჭოსთან.

31. ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს არამხოლოდ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებზე, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებასა და სტუდენტთან დაკავშირებული შემთხვევითი პრობლემების გამოსწორებაზე, არამედ მუდმივ და სისტემატურ მონიტორინგს უნდა აწარმოებდეს სასწავლო პროგრამაზე, მათ შორის საჭიროა ინოვაციური წინადადებები, რათა გაიზარდოს სასწავლო პროგრამის ხარისხი და საერთაშორისო ცნობადობა. სამიზნე ნიშნულების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკების მოძებას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. სამეცნიერო გრანტების დანერგვა, სადაც ერთ-ერთი მოთხოვნა იყო კვლევაში სტუდენტების ჩართვა.
2. დაწესებულება ცდილობს ყურადთება გაამახვილოს ძალისხმევაზე და დანერგოს კონკრეტული კვლევითი მიმართულებები, სადაც მეტი ინვესტიციაა საჭირო (მაგალითად კარდიოლოგია, ნევროლოგია).
3. თანა-დაფინანსების პოლიტიკა - დაწესებულება უზრუნველყოფს ფინანსებს ყველა სახის პროექტისთვის, თუკი განაცხადის თანადაფინანსება ხდება სხვა დაწესებულებების მიერ.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების მიერ ჩამოყაკილბებული რეკომენდაციები წინა შეფასებაში (2017 წლის) მკაცრად იყო გათვალისწინებული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულების მენეჯმენტი სრულად აცნობიერებს მსგავსი გარე შეფასებების მნიშვნელობას და ითვალისწინებს რეკომენდაციებს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 1. დაწესებულების მისია ნათლად არის განსაზღვრული; მისი სამედიცინო პროგრამა (360 კრედიტით) მიზნად ისახავს მზრუნველი, კომპეტენტური, თავდაჯერებული მედიცინის დოქტორების გამოშვებას შედეგებზე დაფუძნებული სასწავლო მიდგმომით, უზრუნველყოფს რა მარალი ხარისხის ჯანდაცვას და ბიოსამედიცინო კლვევას აკადემიურ, სტაციონარული და ამბულატორიული პაციენტების პირობებში. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მიზანს წარმოადგენს სამედიცინო მომზადება, უმეტესად პრაქტიკულ გარემოში (სადაც ცოდნის მოპოვება და ორგანიზება ემთხვევა მოპოვებული კომპეტენციების პრაქტიკაში გამოყენებას), ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობითა და ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემით. სასწავლო პროგრამა შეესაბამება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემას (ECTS). ამ კუთხით, რეგულარული დისკუსიებია ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტის შეხვედრებზე, მინიჭებული კრედიტების რაოდენობის ადეკვატურობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება როგორც მასწავლებლების ასევე სტუდენტების უკუკავშირი, ცვლილებები ხორციელდება ამ გამოკითხვების საფუძველზე. ამჟამად, სპირალური კურიკულუმის (იხილეთ მოგვიანებით) ყველა ციკლს აქვს თავისი კრედიტების ზუსტი რაოდენობა, როგორც დადგენილია სასწავლო პროგრამით. ექსპერტთა ჯგუფს არ შეუნიშნავს დიდი შეუსაბამობები მინიჭებულ კრედიტებსა და სტუდენტთა რეალურ სამუშაო დატვირთვას შორის. **2.** დაწესებულების ვებ-გვერდი ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებას დაწესებულების ისტორიის, ხედვისა და მისიის შესახებ, ასევე იძლევა სასწავლო პროგრამების დეტალებს (მათ შორის სასწავლო პირობებს, მობილობის პროგრამებსა და სტუდენტურ სერვისებს) და ჩარიცხვის მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ დასაქმების მახასიათებლებისა და სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაცია უნდა გაფართოვდეს და უფრო ნათელი გახდეს. 3. პროგრამისა ამოცანები ზოგადად შეესატყვისება ქართულ და საერთაშორისო სტანდარტებს, ეს როგორც ცოდნაზე ასევე კომპეტენციაზე დაყრდნობითაც. დაწესებულება ჩართულია საზოგადოებაზე დაფუძნებულ რამდენიმე პრეოქტშიც (მაგალითად, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია) და კიდევ უფრო მეტს მუშაობს ამ მიმართულებით; ამ შემთხვევაში დაწესებულების არაკომერციული იურიდიული სტატუსი ასევე უპირატესობას წარმოადგენს. 4. პროგრამის კომპონენტები ასევე ჰარმონიაშია დაწესებულების მისიასშტან და საგანმანათლებლო პროგრამის ამოცანებთან და მიჰყვება ლოგიკურ თანმიმდევრობას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ამოცანები უფრო ზოგადია, ის კონკრეტული უნარები და კომპეტენციები, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა

კურსდამთავრებულებში საბოლოო და უმაღლეს დონეზე, უფრო ზედაპირულად არის განსაზღვრული (სწავლის ამოცანების მიღწევა ხდება პრაქტიკით, რომელიც გამოიყენებს მოპოვებულ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს დამოუკიდებლად დარგობრივი აღქმისა). 8. ხელმისაწვდომი რეგულაციებისა და წესების თანახმად, დაწესებულებას აქვს სტუდენტთა თვითმმართველობა, თუმცა როგორც ჩანს მათ, ვისაც ეს ეხება, არ იციან ამ ფაქტის შესახებ - დაინტერესებული პირები მეტად ინფორმირებულები უნდა იყვნენ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის მიზნები: o საგანმანათლებლო პროგრამა; o ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მისია და სტრატეგია და მედიცინის სადოქტორო პროგრამის ამოცანები; o ვებ-გვერდი; o ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისა და მედიცინის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციასთან, სასწავლო პერსონალთან, სტუდენტებთან და სტაჟირების ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგი. o თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მნიშვნელოვანი წარმომადგენლობა დაწესებულების მართვასა და ფაკულტეტის ორგანოებში. 2. დაწესებულების მენეჯმენტს უნდა ესმოდეს, რომ საჭიროა სამეცნიერო სტრატეგიაზე მუშაობა.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o სპირალური კურიკულუმი ორგანიზებულია ოთხ „ციკლად“. სწავლის შედეგები მკაფიოდ და ლოგიკურად არის განაწილებული ციკლების მეშვეობით.
- o სავალდებულო და არჩევითი კურსების ყველა სილაბუსი იძლევა ნათელ ინფორმაციას პროგრამის შესახებ, ასევე ყველა კურსის ერთობლიობას, თითოეული კურსისთვის მინიჭებული კრედიტებით.
- o პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს მედიცინის დოქტორებისთვის საჭირო მინიმალურ კომპეტენციებს. თუმცა, პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული, შესაბამისად არ არსებობს უკუკავშირი კურსდამთავრებულების მხრიდან.
- o სწავლის შედეგების გასაზომად დაწესებულება იყენებს რამდენიმე მეთოდს. კურიკულუმის მეფინგი -რომელიც წარმოდგენილი იყო ადგილზე ვიზიტისას - გვაწვდიდა ინფორმაციას სასწავლო კურსებსა და შედეგებს შორის არსებულ კავშირებზე. ექსპერტთა ჯგუფს ასევე წარუდგინეს გაზომვის გეგმები და ამ სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები კონკრეტული კურსების შიგნით.
- o დაწესებულება წარმატებით იყენებს „ადრეული დიაგნოსტიკის“ მეთოდს პროგრამის მონიტორინგისთვის. შედეგებს იყენებენ, დიაგნოსტიკური მიგნებების საფუძველზე დაწესებულება რეგულარულად ახორციელებს ცვლილებებს პროგრამაში. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის შედეგების რაოდენობა ცოტა არ იყოს მაღალია, რაც ართულებს მათ გაზომვას სხვადასხვა ეტაპზე. პროგრამის სწავლის შედეგების ნაკლები რაოდენობა ხელს შეუწყობს მიღწევების უკეთეს და მარტივ გაზომვას სწავლის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o პროგრამის სწავლის შედეგები;
- o საგანმანათლებლო პროგრამა;
- o პროგრამის მიზნები:
- o პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- o დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ პროგრამის დაინტერესებული მხარეების ჩართულობაზე პროგრამის სწავლის შედეგების დანერგვაში, სილაბუსები, რეზიუმეები
- o ინტერვიუს შედეგები
- o თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. პროგრამა 2014 წელს დაიწყო, შესაბამისად კურსდამთავრებულების გარეშე სწავლის შედეგების აზრიანი შეფასება ცოტა რთულია. ჩვენი რჩევით, იმ სტუდენტთა რაოდენობა, ვინც განაგრძობს სასწავლო პროცესს - ჩააბარებს კურსდამთავრებულთა სამედიცინო სალენზიო გამოცდას ან USMLE გამოცდებს - დაიწყებს რეზიდენტურას ან გახდება დოქტორანტურის სტუდენტი, იქნებიან საუკეთესო მაჩვენებლები ამ მიზნისთვის.
2. სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს და კარგად არის განსაზღვრული საშუალო დონეზე (ციკლების მიხედვით) და მაკრო დონეზე (ლექციების/პრაქტიკუმების მიხედვით). ეს შედეგები განახლდა გასულ წლებსა და თვეებში და უმეტესად შეესაბამება მსგავსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლის შედეგებს. თუმცა, მიუხედავად ამ შესაბამისობისა, ფაკულტეტზე არ ჩანს ადეკვატურად კონკრეტული საბოლოო სწავლის შედეგები ცოდნასთან, უნარებთან და მიდგომებთან ან ქცევებთან დაკავშირებით, რითაც შესაძლებელია კურიკულუმის შესახებ გადაწყვეტილებების მართვა. დღეის მდგომარეობით, სწავლის შედეგები ძალიან ზოგადია და არ არის საკმარისად კონკრეტული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამისთვის. უფრო მეტიც, უფრო ეფექტური გაზომვის მიზნით, ჩვენ გირჩევთ შეამციროთ სწავლის შედეგების რაოდენობა (დაახლოებით 15-ზე ნაკლები), გახადოთ რა ისინი უფრო ლაკონური.
3. იმისა გათვალისწინებით, რომ სწავლების ენა ინგლისურია, ფაკულტეტისთვის სასარგებლო იქნება სწავლის შედეგების საერთაშორისო ჩარჩოების შემოღება, რაც კურიკულუმის შემუშავებისა და მონიტორინგისთვის უფრო ეფექტური პროცესის წარმართვას განაპირობებს , ასევე გააძლიერებს შედეგებზე დაფუძნებული პარადიგმით ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს. ამ ჩარჩოების შემოღება ასევე მიაწვდის სტუდენტს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას ელოდებიან მათგან - აუცილებელია იმ სამედიცინო უნარების განსაზღვრა, რომელსაც სტუდენტი სრულყოფილად უნდა დაეუფლოს სასწავლო პროგრამის დასრულებამდე. იმის გათვალისწინებით, რომ კურსდამთავრებულთა პირველი ნაკადი უახლოეს სემესტრებშია მოსალოდნელი, ახლა სწორედ სათანადო დროა ამ ჩარჩოების შემოსაღებად.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- o არ არსებობს

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- o არ არსებობს

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი დაშვების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, სამართლიანი და სინქრონიზებული სახელმწიფო რეგულაციებთან, სათანადოდ ცხადდება ფაკულტეტის ვებ-გვერდსა და ბროშურების მეშვეობით. ჩარიცხვის კვოტა იგეგმება დაწესებულების მიერ, ფაკულტეტის სასწავლო მოცულობის გათვალისწინებით, და მიღებული სტუდენტების რაოდენობა სტაბილურად იზრდება ბოლო წლების განმავლობაში. სტუდენტების დაშვება (98% უცხო ეროვნების) ეფუძნება საშუალო სკოლის ატესტატებს, ეროვნულ გამოცდებს (მხოლოდ ქართველი სტუდენტების შემთხვევაში). კანდიდატების ინგლისური ენის ცოდნის დონე მინიმუმ B2 უნდა იყოს, ენების ზოგადი ევროპული ჩარჩოს შესაბამისად. არ არსებობს რეგულაცია ბიოლოგიისა და ქიმიის ცოდნის შეფასებაზე, როგორც დაშვების წინაპირობა, და ამ საგნებში არადამაკმაყოფილებელი დონის შემთხვევაში დაწესებულება აწყობს დამაკავშირებელ კურსებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები); o ვებ-გვერდი; o ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან, აკადემიურ პერსონალთან, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისა და მედიცინის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგები o თვითშეფასების ანგარიში;
რეკომენდაციები: -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: სტუდენტების/სასწავლო წლების რეალური რაოდენობა ყოველთვის დამოკიდებულია ადამიანურ (ტუტორების რაოდენობა) და სხვა (ინფრასტრუქტურა, სივრცე და სხვა) სასწავლო რესურსებზე. ადრეული გაფრთხილების სახით, სასწავლო პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობა უნდა დაიგეგმოს ფაკულტეტის საბჭოს მონაწილეობით. ფაკულტეტის პერსონალის ამჟამინდელი სამუშაო დატვირთვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით რაც შეეხება კლინიკის მასწავლებლებს და არამხოლოდ მათ, გარდა იმისა, რომ საჭიროა ახალი სასწავლო-მკვლევარი პერსონალის წევრების დაქირავება, მისაღებ სტუდენტთა რაოდენობის ზრდა სამედიცინო განათლების ხარისხის შემცირების მნიშვნელოვან რისკს აჩენს.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 1. პროგრამას აქვს საგნების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია, განსაკუთრებით კარგად ხდება ბიოქიმიისა და მოლეკოლური ბიოლოგიის ინტეგრირება სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების კურსებთან, თუმცა აქ ჰისტოლოგია უკეთ დაუკავშირდებოდა სხეულის სისტემის კურსებს. პროგრამა ნერგავს კლინიკური უნარების განვითარებას სწავლების ადრეული საფეხურიდან, რაც მომდევნო სასწავლო წლებში უფრო ინტენსიური ხდება. სტუდენტები ეუფლებიან კლინიკურ/პრაქტიკულ უნარებს, ცოტა ხნის წინ დანერგილ და კარგად ორგანიზებულ სიმულაციის ცენტრში. დაწესებულებას აქვს თავისი საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი 120 საწოლით, რაც აშკარა უპირატესობაა და

განსაკუთრებული შესაძლებლობა კურსის პროვაიდერებისთვის. რამდენად ეფექტურად გადიან სტუდენტები კლინიკურ მომზადებას პაციენტებთან ეს ჯერ ბუნდოვანია, რადგან პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებულები და საბოლოო ეტაპის სტუდენტები. შესაბამისად ,კურსდამთავრებულთა თუ დამსაქმებელთა უკუკავშირები ხელმისაწვდომი არ არის.

2. სპირალური კურიკულუმი ორგანიზებულია 4 ციკლად, სავალდებულო და არჩევითი მოდულებით. პირველი დონე (120 კრედიტი) წარმოდგენილია ერთმანეთში ფართოდ ინტეგრირებული სხეულის სისტემების (ანატომია, ფიზიოლოგია) და სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების (ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, ჰისტოლოგია) სავალდებულო მოდულებით, რომლებიც ვერტიკალურად დაკავშირებული არიან პათოლოგიის შემაჯამებელ კურსთან და მედიცინის ძირითადი ღირებულებების, კლინიკური უნარების და კვლევის მეთოდების თანმხლებ კომპონენტებთან.

მეორე დონე (60 კრედიტი) შეიცავს დამაკავშირებელ (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დამაკავშირებელი კურსი, ფარმაკოლოგია, სიტემური პათოლოგია) და სინერგიულ კურსებს (ფიზიკური დიაგნოზი, საოჯახო მედიცინა I, ზოგადი ქირურგია და სხვა), რომლებიც აკავშირებს ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური ცვლილებების და დაავადებების სიმპტომების ცოდნას დიაგნოსტირების თანამედროვე პრინციპების და მეთოდებისა პრაქტიკულ გააზრებასთან. სპირალური კურიკულუმის მესამე დონე (120 კრედიტი) ეთმობა დაავადებებისა და სინდრომების მკურნალობის შესწავლას მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის საფუძველზე შემუშავებული კლინიკური მდგომარეობის მართვის უახლესი გაიდლაინების და პროტოკოლების შესაბამისად. ის მიმართულია წინა დონის კომპეტენციების გამეორებაზე (რევიზიტის) და ამავე დროს, მასზე ზედნაშენი ცოდნის, უნარ-ჩვევების და ღირებულებების გაღრმავებაზე და განავითარებაზე უფრო მაღალი დონის კომპლექსური ამოცანის გადასაჭრელად. მეოთხე ეტაპი (60 კრედიტი) დაფუძნებულია წინა ეტაპებზე მიღებულ კომპეტენციებზე და ხელს უწყობს რეალური სამყაროს გამოწვევების ტრანსდიციპლინურ აღქმას. ამგვარად, სწავლის საბოლოო და უმაღლესი დონის მიზნები მიიღწევა პრაქტიკაზე დაფუძნებული ცოდნით, ღირებულებებითა და უნარებით ცალკე საგნობრივი სპეციფიკის დამოუკიდებლად. მთლანი ორგანიზაცია მკაფიო და გამართლებულია.

3. სწალების ენა ინგლისურია; სტუდენტთა დიდი უმრავლესობა უცხოელია. რამდენადაც სტუდენტების უმრავლესობა (98%) უცხო ქვეყნის მოქალაქეა და არ ფლობენ ქართულ ენას, ამ წინაღობამ შესაძლოა სირთულეები გამოიწვიოს ქართველ პაციენტებთან და მათ ნათესავებთან კომუნიკაციის მხრივ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ქარტია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების შესახებ, როგორც ეს მოცემულია თვითშეფასების ანგარიშში;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა
- ვებ-გვერდი;

- ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან, აკადემიურ პერსონალთან, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისა და მედიცინის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგები
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის რეგულაცია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ჩატარების შესახებ

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდებულია მაღალი ზღვრის დაწესება.
2. ფაკულტეტმა ექსპერიმენტები უნდა ჩაატაროს ახალი მოდულებით, რომლებიც მიზნად ისახავს ძირითადი და კლინიკური მეცნიერებების ინტეგრირებას ლაბორატორიულ და კლინიკურ უნარებთან. მაგალითად: სისხლის ბანკის აქტივობების, ტრანსფუზიოლოგიისა და კვლევითი აქტივობების დაკავშირება ერთმანეთთან.
3. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართულენოვან სწავლებას და კომუნიკაციის უნარს ქართულ ენაზე.
4. კურსის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს თანაკურსელთა სწავლება - მეოთხე დონის სტუდენტები ეხმარებიან პირველი დონის სტუდენტებს არაოფიციალური გზით. ამგვარი სწავლების დეტალები არ არის განხილული თვითშეფასების ანგარიშში და ჩვენი რჩევაა, ეფექტური მექანიზმების შემუშავება, როგორიცაა შეხვედრები სტუდენტებსა და მასწავლებლებს შორის, რათა მოხდეს მეთოდის ეფექტურობის ანალიზი და თანამშრომლობა უკეთესი გამოსავლის მოსაძებნად. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიუხედავ მსგავსი ცვლილებების განხორციელების სურვილისა, საჭიროა კურიკულუმის სტრუქტურის, სწავლებისა და შეფასებიდ მდგრადი და ეტაპობრივი ცვლილება, ეს უკეთესია მკვეთრ რეფორმებზე, რომელთაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან ფაკულტეტის ამჟამინდელ ფუნქციონირებას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არსებობს

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არსებობს

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. სავალდებულო კურსების სილაბუსები ასახავს საჭირო ცოდნის უმეტესობას, თუმცა კლინიკური უნარები და ეთიკური საკითხები ხშირად მოკლედ არის აღწერილი (ეს შეესაბამება წინა ექსპერტთა დასკვნის მოსაზრებებს „2017 წლის განვითარების დასკვნის ანგარიშში“). კრედიტების რაოდენობა შეესატყვისება პროგრამის შედეგებსა და ეროვნულ სტანდარტებს, სილაბუსებში ჩამოთვლილი მასალა ახალია და ფართოდ უზრუნველყოფს სწავლის დასახული შედეგების მიღწევას.

2. ფაკულტეტი ორგანიზებას უწევს TBL(ჯგუფზე დაფუძნებული სწავლება) ჯგუფებს და SBL (სიმულაციაზე დაფუძნებული სწავლება) და PBL (პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება) ჯგუფებს, თითოეულ ჯგუფში სტუდენტთა სხვადასხვა რაოდენობით. ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა ადეკვატურია, მაქსიმალური რაოდენობა დამოკიდებულია სწავლის მეთოდზე (მაგ.; PBL: 8-10, TBL: 40). სტუდენტ-ტუტორის გონივრული თანაფარდობა უნდა შენარჩუნდეს სწავლების ამ მოდალობებში და ეს მიდგომა უნდა გამოიყენოთ კლინიკურ სწავლებაშიც (პატარა ჯგუფი უფრო პერსონალიზებული სწავლების საშუალებას იძლევა - რაც სტუდენტის მხრიდან რჩევებშიც იყო - და ადრეული კონტაქტის ნაკლებობამ პაციენტებთან შესაძლოა სტუდენტების დემოტივირება გამოიწვიოს). სიმულაცია და სტუდენტების წვდომა სიმულაციის ტექნოლოგიებზე მიჰყვება კარგ პრაქტიკებს, მაგრამ მიზანს არ წარმოადგენს მთლიანად ამ მეთოდზე დაყრდნობა; უფრო კლინიკური პრაქტიკა, ინდივიდუალურ პაციენტებთან ინდივიდუალური წვდომით უნდა იყოს უზრუნველყოფილი მესამე დონის სტუდენტებისთვის - როგორც ადრეული გაფრთხილება მეოთხე დონის სტუდენტების მიმართ.

3. მართალია სტუდენტ-ტუტორის თანაფარდობა ხარისხიანი სწავლების მაჩვენებელი შეიძლება იყოს, განსაკუთრებით კლინიკის გარემოში სწავლებისას, თუმცა სხვა ცვლადებიც უნდა არსებობდეს ხარისხის უზრუნველსაყოფად, მათ შორის ადეკვატური სასწავლო დრო, ეფექტური სწავლების მეთოდების გამოყენება და მასწავლებლის ხელმისაწვდომობა.

4. განსაკუთრებული მითითებაა საჭირო სამუშაო ადგილას ქართული ენის გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს. გასაგებია, რომ სტუდენტების უმრავლესობა არ საუბრობს ქართულად, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს პაციენტებთან და მათი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის სირთულეები. მაგალითის სახით, სამედიცინო ეთიკა, მათ შორის პაციენტის კონფიდენციალობა და ავტონომია, შეტანილია კურიკულუმის თეორიულ ნაწილში, თუმცა კლინიკური სწავლებისას ეს ყოველთვის უნდა განხორციელდეს სამაგალითო ქცევის სახით. ეს შეუძლებელია ქართული ენის გამოყენების გარეშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

- სილაბუსები
- კურიკულუმის რუკა
- ინტერვიუს შედეგები
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის რეგულაცია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ჩატარების შესახებ
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ქარტია თვითშეფასების ანგარიშში

რეკომენდაციები:

ჯგუფების ზომები წინა-საკლინიკო პრაქტიკუმებზე მისაღებია, მაკრამ კლინიკის საგნებში სასურველია ინდივიდუალური წვდომა რეალური კლინიკის სიტუაციებზე.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

კურსების სილაბუსები შესაძლოა უფრო ინფორმაციული იყოს, კერძოდ ლექტორების საკონტაქტო ინფორმაციისა და საკონსულტაციო საათების შესახებ და კონკრეტულ კურსებზე გამოყენებული შეფასების სისტემების კრიტერიუმები უკეთესად უნდა იყოს წარმოდგენილი.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არსებობს

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არსებობს

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. კურიკულუმის შემუშავება პრაქტიკულ, კვლევით და ტრანსფერულ უნარებზე დაყრდნობით, დაწესებულების დეკლარაციულ ამოცანას წარმოადგენს, პრობლემაზე, შემთხვევასა თუ ჯგუფზე დაფუძნებული სწავლება იდეალურად არის განხორციელებული ფაკულტეტის სასწავლო პროგრამაში. აღნიშნული სწავლების სტრატეგიების დანერგვა პროფესიათაშორის კლინიკურ კონტექსტში მეოთხე დონემდე, ხელს უწყობს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლის პროცესს და აძლიერებს ცოდნისა და უნარების დაუფლებას.

2. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ პრაქტიკული სამუშაოები ინტერაქტიული და დინამიურია, ხოლო ლექციები ნაკლებად მამოტივირებელი ეჩვენებათ. სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სწავლებაში, სხვადასხვა სწავლების მეთოდი ხორციელდება; კერძოდ თანაკურსელების სწავლება და პრაქტიკული პროცედურების სიმულაცია ზოგიერთ დისციპლინაში (ხორციელდება უნარების ცენტრში), განსაკუთრებით იმ დარგებში, რომელიც შეეხება პაციენტზე ზრუნვას და სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. სტუდენტები სწავლობენ სიცოცხლის გადარჩენის ბაზისურ ალგორითმს ევროპის რეანიმაციის საბჭოს (ERC) ინსტრუქციის მიხედვით. უნარების ცენტრის ამჟამინდელი სამუშაო გამოცდილება ადეკვატურად საკმარისია, თუმცა მისი შემდგომი განვითარებაც შეიძლება, მაგალითად სამედიცინო კომუნიკაციის გადამზადება, პაციენტის ისტორიის აღება და ფიზიკური შემოწმება სიმულაციურ პაციენტებში (ქართულ ენაზე). პროცედურული უნარები ინდივიდუალურად უნდა იყოს გააზრებული და შეფასებული, სტანდარტიზებული სიხშირით: კომპეტენცია და გადამზადების საჭიროება უნდა გადაფასდეს დროის სათანადო ინტერვალებით.

3. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სამწუხაროა, რომ კვლევითი სტრატეგიისა და ფაკულტეტის პერსონალის მიერ ჩატარებული კვლევითი საქმიანობის მკაფიო განსაზღვრა არ არის წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში. დაწესებულება აფილირებულია მაღალი სტანდარტის სამეცნიერო დაწესებულებებთან (მაგალითად, გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის ინსტიტუტი და ბერიტაშვილს ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი). ამ დაწესებულებათა მეცნიერები მონაწილეობენ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესში. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ კვლევით აქტივობებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული კურიკულუმით, თუმცა სტუდენტთა ჩართულობა კვლევებში მაინც დაბალია. დაწესებულება უზრუნველყოფს ისეთ კურსებს, სადაც შესაძლებელია სამეცნიერო უნარების გამომუშავება, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია და აკადემიური წერა, თუმცა შესაძლოა სასარგებლო იყოს კურიკულუმზე დაფუძნებული კვლევითი სამუშაოს გაძლიერება, როგორიცაა მოკლე თეზისების წარდგენა და ა.შ. ამ მიზნისათვის, საწყის ეტაპზე, ფაკულტეტს ასევე შეუძლია გამოიყენოს ახლად დამონტაჟებული ლაბორატორია და სისხლის ბანკი.

4. დაწესებულებამ მიიღო ზომები, რომლებიც შეიძლება საუკეთესო პრაქტიკად ჩაითვალოს: სამეცნიერო გრანტების დანერგვა, სადაც ერთ-ერთი მოთხოვნა იყო კვლევაში სტუდენტების ჩართვა. ეს მიდგომა ნამდვილად გაზრდის პერსონალის სამეცნიერო შედეგებს და შესაძლოა მიაღწიოს მაღალ-კვალიფიციური აკადემიური პერსონალის დასაქმებამდე.

დაწესებულება ცდილობს ყურადღება გაამახვილოს ძალისხმევაზე და დანერგოს კონკრეტული კვლევითი მიმართულებები, სადაც მეტი ინვესტიციაა საჭირო (მაგალითად კარდიოლოგია, ნევროლოგია).

კიდევ ერთი კარგი საყდენია - თანა-დაფინანსების პოლიტიკა - დაწესებულება უზრუნველყოფს ფინანსებს ყველა სახის პროექტისთვის, თუკი განაცხადის თანადაფინანსება ხდება სხვა დაწესებულებების მიერ.

თითოეული ეს ქმედება ნამდვილად გაზრდის უნივერსიტეტის სამეცნიერო შედეგს/ხარისხს, ისევე როგორც კვლევებში სტუდენტების ჩართულობას, შესაბამისად ეს მიმართულება უნდა შენარჩუნდეს კვლევის განვითარების კუთხით.

რეკომენდაციები:

1 . განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ლაბორატორიის განვითარებას პრაქტიკული კურსებისთვის.

2. ექსპერტთა ჯგუფი ყურადღებას ამახვილებს სტუდენტთა აქტიური ჯგუფის დანერგვაზე (სტუდენტთა სამეცნიერო წრის შექმნაზე), რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და მკვლევართა ჯგუფთან დაკავშირებას, რამაც სანაცვლოდ შესაძლოა ხელი შეუწყოს ფაკულტეტის განვითარებას კვლევისა და განათლების კუთხით. პირველ რიგში ინდივიდუალური სტუდენტები, შემდეგ სტუდენტთა არაოფიციალური ჯგუფები და შემდეგ სტუდენტთა ასოციაციები უნდა დაჯილდოვდნენ, წახალისდნენ და მიეცეთ მოტივაცია, რომ განახორციელონ ეს აქტივობები ფაკულტეტის ბაზაზე.

3. მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სტუდენტთა მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო პროექტებში ამჟამინდელი სქემის ფარგლებში.

4. კვლევის მაღალი ხარისხი უმეტესად ეყრდნობა ინდივიდუალური მკვლევარის მოტივაციას და აკლია კვლევის შედეგების სისტემატური და რეგულარული განხილვები. მეტი სქემის შემუშავება შეიძლება კვლევის მაღალი ხარისხის აღიარებისთვის, მაგალითად ფაკულტეტის ვებ-გვერდის ან სასწავლო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების გადანაწილების გზით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. სასურველია ჟურნალის კლუბების ორგანიზება.

2. სტუდენტური აქტივობების ორგანიზებისთვის შესაძლოა საჭირო იყოს ფინანსური მხარდაჭერა, თუმცა თანხების გამოყოფის პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სამეცნიერო გრანტების დანერგვა, სადაც ერთ-ერთი მოთხოვნა იყო კვლევაში სტუდენტების ჩართვა.

დაწესებულება ცდილობს ყურადღება გაამახვილოს ძალისხმევაზე და დანერგოს კონკრეტული კვლევითი მიმართულებები, სადაც მეტი ინვესტიციაა საჭირო (მაგალითად კარდიოლოგია, ნევროლოგია).

თანა-დაფინანსების პოლიტიკა - დაწესებულება უზრუნველყოფს ფინანსებს ყველა სახის პროექტისთვის, თუკი განაცხადის თანადაფინანსება ხდება სხვა დაწესებულებების მიერ.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არსებობს

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეს კრიტერიუმი სრულად განხორციელებულია. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება იმ პოზიციაზე, რომ სტუდენტ-ტუტორის კარგი თანაფარდობა მიღწეულია, სტუდენტების რაოდენობა/ჯგუფი ახლა ადეკვატურია, დაწეყებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდების განხორციელებაც; კერძოდ, PBL, OSCE (ობიექტურ სტრუქტურული კლინიკური შემოწმება), სემინარი და პრაქტიკული სამუშაოები, სიმულაციები სიმულაციის ცენტრში, ლაბორატორიისა და სისხლის ბანკის გამოყენება. ყოველივე ეს აშკარად მიუთითებს მენეჯმენტის განზრახვასა და ძალისხმევაზე დანერგოს საუკეთესო პრაქტიკები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ქარტია, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის რეგულაცია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ჩატარების შესახებ o მედიცინის სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები o ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან, აკადემიურ პერსონალთან, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისა და მედიცინის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: –
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტის შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი 1. სტუდენტები მიიჩნევენ, რომ საერთო ჯამში შეფასების მეთოდები სამართლიანი და ობიექტურია და, რომ მასწავლებლები იძლევიან უკუკავშირს, სტუდენტები ინფორმირებული არიან შეფასების კრიტერიუმებზე და საბოლოო ქულები სწრაფად არის ხელმისაწვდომი. სტუდენტებს აქვთ რეალური შესაძლებლობა გაასაჩივრონ და კონსულტაცია გაიარონ გამოცდის სწორ პასუხებთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში. თუმცა, რაც შეეხება გადასალახ ქულას, აბსოლუტური ჩაჭრის განსაზღვრა გამოცდის მახასიათებლებისა და შედეგების ანალიზის მიუხედავად, არ წარმოადგენს შეფასების კარგ პრაქტიკას და უნდა შეიცვალოს ისეთი მოდულით, რომელიც ჩაჭრილების გამოსწორების საშუალებას იძლევა კონკრეტული გამოცდით. 2. რაც შეეხება გადალახვის კოეფიციენტს, ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი უწევს მონიტორინგს ამ მახასიათებლებს სასწავლო პროგრამაში, თუმცა თვითშეფასების ანგარიშში არ ჩანს გადალახვის კოეფიციენტი თითოეულ დისციპლინასა თუ სასწავლო პროგრამის თითოეულ წელზე (დონეზე). ანგარიშში ასევე არაა დასახელებული ძალიან მაღალი და ძალიან დაბალი გადალახვის კოეფიციენტის მქონე დისციპლინები. საჭიროა იმის ცოდნა, რომ ზოგიერთ სასწავლო პროგრამაში ან სასწავლო პროგრამის პირველ წელს არსებობს დაბალი გადალახვის კოეფიციენტი, აუცილებლად არის დისციპლინები, სადაც დაბალია გადალახვის კოეფიციენტი და შესაძლოა საჭიროებდეს გამოსასწორებელი ზომების განხორციელებას, სტუდენტებისა და მასწავლებლების მოსაზრებების გათვალისწინებით. და პირიქით, არ უნდა დავივიწყოთ დისციპლინები, რომლებშიც გადალახვის კოეფიციენტი ძალიან მაღალია, საჭიროა მათი ანალიზი, სტუდენტების მიერ კომპეტენციების დაუფლების ეფექტურობის თვალსაზრისით, მიუხედავად სტუდენტისა და მასწავლებლის მიერ გამოთქმული კმაყოფილებისა. 3. ზოგიერთი საგნის/მოდულისთვის გამოცდა ეყრდნობა ოფიციალურ პრეზენტაციას ე.წ. „შემაჯამებელ სიმპოზიუმზე“, რაც ცოტა დამაბნეველია. ამ შემთხვევაში, სტუდენტის შეფასების კრიტერიუმები მკაფიოდ უნდა განისაზღვროს: დასკვნით გამოცდაზე დაშვება, გამოცდის გადაბარების წესები და ა.შ. 4. მართალია დიდი შრომა იდება სწავლის შედეგების განსაზღვრაში, თუმცა თვითშეფასების ანგარიში არაინფორმაციულია, როდესაც საქმე ეხება მაღალი ხარისხის შეფასების განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. ყურადღება ასევე უნდა მიექცეს შეფასების შესაბამისობას სწავლის შედეგებთან და ისეთი შეფასების მეთოდების განვითარებას, როგორიც იძლევა რეალურ კლინიკურ სწავლებას (რომელიც მოიცავს სწავლის სრულ სპექტრს, მათ შორის ტექნიკურ უნარებსა და კომუნიკაციის უნარს) ნაცვლად დაზეპირებისა. რაც შეეხება უნარების შეფასებას, იდეალურ შემთხვევაში ფაკულტეტმა უნდა შეიმუშავოს პრაქტიკული პროცედურები, რომელთაც სტუდენტები სრულყოფილად უნდა დაეუფლონ კონკრეტული დისციპლინისა და სასწავლო პროგრამის დასასრულს, და შეაფასოს ისინი არამხოლოდ სიმულაციით, არამედ რეალურ კლინიკურ კონტექსტშიც. ფაკულტეტმა შესაძლოა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სხვაგან არსებული პილოტური ინიციატივები თანამედროვე შეფასების მეთოდების შემუშავებისთვის (მაგალითად სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება WPBA). 5. შეფასების მეთოდები და პრაქტიკები თავსებადია საგანმანათლებლო ამოცანებთან და ხელს უწყობს სწავლებას, შესაბამისად დაკმაყოფილებულია ძირითადი სტანდარტი, თუმცა შეფასების მოდალობების სანდოობა და კანონიერება არ არის განხილული (არ ფიქსირდება კრიტერიუმები, კონკრეტული კომპეტენციების აღწერა).

მტკიცებულებები/ინდიკატორები o ვებ-გვერდი o სილაბუსები o ინტერვიუს შედეგები, ადგილზე ვიზიტის დროს დისკუსიები სტუდენტებთან
რეკომენდაციები: მოცემულია კურსის შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, თუმცა კლინიკის კურიკულუმში/სილაბუსში ასევე მოცემული უნდა იყოს კონკრეტული მიზნები, კომპეტენციები, განსაზღვრული შეფასება და ჩააბარა-ჩაიჭრას შესაბამისი კრიტერიუმები (დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის დაშვებისთვის საჭირო მინიმალური ქულა, გამოცდის გადაბარების წესი და ა.შ), სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, თუ რა სტანდარტები და ჩაბარება/ჩაჭრის რა კრიტერიუმები გამოიყენება მათი შეფასებისას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არცერთი
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია		x		

და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.				

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება:
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას და ხელს უწყობს სტუდენტების პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. ფაკულტეტს აქვს თანაკურსელთა მენტორობის მოქმედი სისტემა სტუდენტებისთვის (ადრეული დიაგნოსტიკა), რაც საუკეთესო პრაქტიკად განიხილება. ასევე აღნიშნულია, რომ კარიერული მომსახურების ცენტრი ხელს უწყობს მუდმივი გაუმჯობესების ციკლებს მონიტორინგისა და უკუკავშირის საფუძველზე, რისი მიღებაც ხდება მრავალი მონაცემთა წყაროდან, და რომ ცვლილებები შედის პროგრამაში სტუდენტთა მოსაზრებების პასუხად. სტუდენტები ძალიან კმაყოფილები იყვნენ სწავლების ხარისხითა და აკადემიური პერსონალით, განაცხადეს, რომ ისინი ეხმარებიან და ღია არიან ნებისმიერი დისკუსიისთვის. თუმცა, მათ ჰქონდათ ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის პრობლემა. აშკარაა, რომ უნივერსიტეტი ძალიან სწრაფად გაიზარდა და არ არის/არ იყო საკმარისი თანამშრომლები ადმინისტრაციაში სტუდენტებთან სამუშაოდ, ცოტა ხნის წინ უნივერსიტეტში დანერგილი საინფორმაციო მაგიდები მომავალში გამოსავალს უზრუნველყოფენ - ამას სამომავლოდაც უნდა შეეწყოს ხელი (პერსონალი მზად არის ნებისმიერ დროს დაეხმაროს სტუდენტებს, მიაწოდოს მათ ინფორმაცია ერთი სარკმლის პრინციპით). სტუდენტები ასევე აღიარებენ, რომ მათ არ აქვთ სათანადოდ ფუნქციონირებადი სტუდენტური მმართველი ორგანო, რომელიც მათ პრობლემებს გადასცემდა და სტუდენტთა ხმას მიიტანდა მენეჯმენტამდე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სტუდენტთა მხარდაჭერის შესრულებული ღონისძიებები; სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების აღწერა o სხვადასხვა პროექტებში სტუდენტების ჩართულობის სტატისტიკური მონაცემები; o ვებ-გვერდი, ინფორმაციაზე წვდომა; o აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები:

რეკომენდებულია დამოუკიდებელი სტუდენტური ასოციაციის (სტუდენტთა თვითმმართველობის) აქტიური მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ასეთი ორგანიზაციის უსაზღვრო პოტენციალს, რომელიც სცილდება საკურსო დონეს (მისი გაფართოვება შეიძლება კურსდამთავრებულებზეც). შესრულების კონტროლი თავად სტუდენტების მიერ (კერძოდ სტუდენტთა ასოციაციის), იძლევა პროგრამის ეფექტურობის უფრო ობიექტურად შეფასების შესაძლებლობასა და კურიკულუმის იმ მხარეთა გამოვლენის საშუალებას, რომლებიც გაუმჯობესებას საჭიროებს. რაც მთავარია, სტუდენტები მოტივირებულები არიან პასუხი გასცენ სტუდენტთა გამოკითხვებს და სჯერათ, რომ ამით შესაძლებელია პროგრამის გაუმჯობესება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. გააუმჯობესეთ სასწავლო სივრცეების ხარისხი; მაგალითად, მთავარი შენობის ეზოში შესაძლებელია სკამებისა და მაგიდების განთავსება. ეს იქნება რენტაბელური მეთოდი, რომელიც აუთვისებელ ტერიტორიას დამატებით სასწავლო სივრცედ გარდაქმნის. 2. ფაკულტეტმა ორგანიზება უნდა გაუწიოს მეტ ისეთ აქტივობებს, რომლებიც სასწავლო პროგრამით არ არის გათვალისწინებული, რათა ჩამოყალიბდეს ერთიანობის უფრო დიდი შეგრძნება. 3. სტუდენტთა წარმომადგენლებს მეტი კონტაქტი უნდა ჰქონდეთ ფაკულტეტის მენეჯმენტთან და მასწავლებლებთან ფაკულტეტის სხვადასხვა ორგანოებში, სადაც მათ რჩევებს მხედველობაში მიიღებენ.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი -
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში o
~~შეფასება~~ ~~o გთხოვთ, მონიშნოთ ის ფაჯრა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კონკრეტულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობასთან დაკავშირებით.~~ ~~☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან~~ ~~☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან~~ ~~☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან~~ ~~☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან~~

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან		x		

ინდივიდუალური მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. ის უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ამ კუთხით ხარვეზები არ შეინიშნება (ადამიანური რესურსები). უფრო მეტიც, ექსპერტთა ჯგუფი აღფრთოვანებული დარჩა ტუტორების კვალიფიკაციით. პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია, ამჟამინდელი სამუშაო დატვირთვა ადეკვატურია, აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან შეადგენს 1/15 (გარდა მოწვეული პერსონალისა). პროგრამის ხელმძღვანელი ძალიან გამოცდილი და დარგის ცნობილი ექსპერტია.
ფაკულტეტის წევრებს ჰქონდათ დაწინაურების შესაძლებლობა, და პენსიაზე გამსვლელი პერსონალისთვის სამომავლო შემცვლელების დაგეგმვაც ხდება. თუმცა , ექსპერტთა ჯგუფისთვის დამაფიქრებელი იყო შეზღუდული შესაძლებლობები სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის დაკილდოების თვალსაზრისით. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, სამეცნიერო აქტივობებისა და კვლევის მაღალი ხარისხის მხარდაჭერის აუცილებლობას, და განათლებისა და სამეცნიერო ხარისხზე დაყრდნობით შეფასებას. სწავლების პროცესში მონაწილე ფაკულტეტის წევრები შეაფასეს სტუდენტებმა იმ სისტემით, რომელიც კარგად მუშაობს. თუმცა, მცირე მასწავლებელთა უკუკავშირის მცირე მტკიცებულებები ვნახეთ, რაც იმაზე მიუთითებს რომ საჭიროა უფრო მეტად რაოდენობრივი შეფასება მასწავლებლების, მაგალითად კოლეგების განხილვის სისტემის გამოყენება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ქარტია, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის რეგულაცია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ჩატარების შესახებ
- მედიცინის სადოქტორო პროგრამა, სილაბუსები, რეზიუმეები
- ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან, აკადემიურ პერსონალთან, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისა და მედიცინის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუების შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში - აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან; აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან; აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ბრუნვა;

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. თუკი მისაღები სტუდენტების რაოდენობა იზრდება, მაშინ საჭირო იქნება დეტალური ანალიზი როგორც სწავლების მოცულობის, ასევე პერსონალის მოტივაციისა და ხელმისაწვდომობის. განსაკუთრებით დამაფიქრებელია სასწავლო პერსონალის გადატვირთვის შესაძლებლობა და მისი თანმდევი ვარდნა სწავლების ხარისხის კუთხით.
2. ამჟამად, ფაკულტეტში არ შეინიშნება სისტემა, რომლითაც სხვადასხვა სფეროებში დასაქმებულების წვლილი შეფასდება. ერთი შესაძლო სქემა იქნება, თუკი ყველა თანამშრომლის წვლილი შეფასდება ჩამოთვლილ სამ სფეროში: (1) სამეცნიერო/კვლევითი, (2) სასწავლო და (3) ადმინისტრაციის/კომიტეტის წევრობა. ამ გზით შესაძლებელია სამუშაო დატვირთვის გადაბალანსება ან გადანაწილება ისე, რომ მოხდეს თითოეული თანამშრომლის ძლიერი მხარეების მაქსიმალურად ათვისება.
3. სასურველია, რომ ფაკულტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა (ორგანოგრამა) წარმოდგენილი იყოს ვებ-გვერდზე, რათა მოხდეს თითოეული სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კლინიკური ორგანიზაციული ერთეულის მუშაობისა და მათ შორის შეთანხმების ვიზუალიზაცია, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პროფესიული აქტივობებიდან წამოჭრილი დავალებების მიხედვით. ეს უნდა იყოს პროფესიონალ და ადმინისტრაციულ დავალებათა ნუსხაში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

- არ არსებობს

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არსებობს

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს;
- უსდ ხელს უწყობს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას. ამის გარდა, ის ხელს უწობს მათ სამეცნიერო და კვლევით მუშაობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალი მუდმივად ფასდება ადმინისტრაციის მიერ, სტუდენტთა კითხვარებისა და კოლეგების შეფასების გამოყენებით. აკადემიურმა პერსონალმა აღიარა, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს მათ მომზადებას/კვალიფიკაციას და კონფერენციებში მონაწილეობას. თუმცა, ეს უკეთესად უნდა იყოს მითითებული კონტრაქტებში, ისევე როგორც დაწინაურების შესაძლებლობები და კრიტერიუმები.

პრაქტიკაში, პერსონალის წევრების უმრავლესობა, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი ესაუბრა, იცნობდა ფაკულტეტის კვლევის ძირითად სფეროებს (ვირუსული იმუნოლოგია, პათოფიზიოლოგია, იმუნოლოგიური ინფექციური დაავადებები, სიმსივნის მოლეკულური ბიოლოგია). თუმცა, ექსპერტთა ჯგუფს დარჩა შტაბეჭდილება, რომ საჭიროა კვლევის დეტალური სტრატეგიული დღის წესრიგი იმ გადაწყვეტილებების (მაგალითად რესურსების განაწილება) მისაღებად, რაც შეინარჩუნებს და ააშენებს ამ ძლიერ მხარეებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში პერსონალის სტატისტიკური მონაცემებით;
- რეზიუმეები პროგრამის პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი შედეგებით;
- რეზიუმეები საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მონაცემებით;
- რეზიუმეები საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტებით;
- ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ქარტია, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის რეგულაცია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ჩატარების შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან, აკადემიურ პერსონალთან, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისა და მედიცინის სადოქტორო პროგრამის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან და ხელმძღვანელებთან ინტერვიუები

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

1. პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა ფაკულტეტს შესაძლებლობას მისცემს ხელი შეუწყოს საკუთარ თავს იმისათვის, რომ დაასაქმოს საუკეთესო პერსონალი და თანამშრომლები, ასევე მოიპოვოს ეროვნული და საერთაშორისო დაფინანსებები ამ აქტივობების მხარდასაჭერად.
2. ასევე საჭირო იქნება, განსაზღვრული სამუშაოს - კვლევის დღის წესრიგში არსებული - მაჩვენებლების მონიტორინგის, შეფასებისა და განხილვის მექანიზმები .
3. ფაკულტეტის კვლევითი პერსონალის ინდივიდუალურ წევრებს დიდი რაოდენობით მაღალ კვალიფიციური კოლაბორაციები აქვთ. არსებობს ფარგლები ამ კვლევითი კოლაბორაციების გასაუმჯობესებლად ინსტიტუციური კოლაბორაციების დონეზე - შესაბამისად იქმნება საფუძველი მაღალი ხარისხის დასაგროვებლად.
4. ფაკულტეტის აკადემიური მმართველობის პასუხისმგებლობები პერსონალური განვითარების პროგრამისთვის მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული. უნდა ჩამოყალიბდეს წახალისების კრიტერიუმები და იყოს გამჭვირვალე.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ არსებობს

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

არ არსებობს

შეფასება

X მოთხოვნებს შეესაბამება

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსები

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესასრულებლად საჭირო ყველა ინფრასტრუქტურული რესურსი. ფაკულტეტს აქვს კარგად აღჭურვილი სასემინარო ოთახები, სალექციო დარბაზები და დიდი სიმულაციის ცენტრი, თუმცა სწავლა/სწავლებაში ძლიერი მხარეების განვითარება კიდევ უფრო მეტად შეიძლება, თუკი ყურადღება დაეთმობა გარკვეულ სუსტ მხარეებს. ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ სასწავლო აქტივობებისთვის ყველა ოთახი არ გამოიყენება, რამდენიმე მათგანი აუთვისებელია. მეორე მხრივ, სტუდენტთა სამუშაო სივრცეები, მათ შორის უფასო წვდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე შეზღუდულია, მაშინ როცა ფაკულტეტის

მთავარი შენობის შიგნით არსებული ზოგიერთი სივრცე აუთვისებელია (მაგალითად ეზო მთავარ ვესტიბულთან).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ვიზიტი ბიბლიოთეკაში, მასალებისა და ტექნიკური რესურსების, მათ შორის პროგრამაში მითითებული ძირითადი ლიტერატურის შემოწმება. o ვიზიტი მთავარ შენობაში, მათ შორის ლაბორატორიაში o ვიზიტი უნივერსიტეტის ჰოსპიტალში o კურსების სილაბუსები o ადგილზე განხორციელებული ინტერვიუები სასწავლო პერსონალთან, მედიცინის სადოქტორო პროგრამის დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან
რეკომენდაციები: –
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. შესაძლებელია საბიბლიოთეკო რესურსების მუდმივი განვითარება და ფაკულტეტმა უნდა განაგრძოს მუშაობა ელექტრონული-სამეცნიერო რესურსების გამდიდრებაზე. გარდა ამისა, სასარგებლო იქნება ახალი სტუდენტებისთვის გაცნობითი სესიების ორგანიზება იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყენონ საბიბლიოთეკო რესურსები. 2. ფაკულტეტს უნდა ჰქონდეს პოლიტიკა, რომელიც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამასა და სტუდენტთა კვლევით აქტივობებში ინფორმაციული ტექნოლოგიების უფრო ეფექტურ გამოყენებას (Google-ზე დაფუძნებული პლატფორმა კარგია, მაგრამ მას აქვს შეზღუდვები, როგორიცაა პირდაპირი შეფასება ლექტორისგან, ინტერაქცია და ა.შ. - დაწესებულებამ შესაძლოა განავითაროს ეს რესურსი უახლოეს მომავალში). 3. ფაკულტეტმა უნდა გააუმჯობესოს ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა იმისათვის რომ განავითაროს სტუდენტთა გამოცდილება უნივერსიტეტში. ლაბორატორია აღჭურვილია პრაქტიკული კურსებისთვის მიკრობიოლოგიასა და ბიოქიმიაში, თუმცა საჭიროა დამატებითი გაუმჯობესება, რათა იგი მისაღები იყოს სამეცნიერო კვლევებისთვის (მათ შორის, მაგალითად მოლეკულური ბიოლოგიისთვის). 4. კლინიკურ განათლებაში სასურველია მთავარი სასწავლო ბაზების (კლინიკური ჰოსფიტალების) რეგულარული შეფასება იმის დასადგენად, თუ რამდენად შესაბამისი და ხარისხიანია პრაქტიკული სასწავლო პროგრამისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) არ არსებობს
შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშის დოკუმენტებში არ იყო მოცემული ინფორმაცია მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის შესახებ, მაგრამ ადგილზე მოწოდებული დოკუმენტებისა და ადმინისტრაციასთან და ფაკულტეტის წევრებთან ჩატარებული ინტერვიუების თანახმად, პროგრამისთვის საჭირო ფინანსური რესურსი ხელმისაწვდომია, ბიუჯეტის მომზადება და რესურსების მართვა ყურადღებით ხდება და ბიუჯეტი დაბალანსებულია. ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა ძლიერი ფინანსური მენეჯმენტის მტკიცებულებები და ხარჯების ეფექტურობაზე ყურადღების მზარდი გამახვილება, ასევე შემოსავლის ახალი წყაროების მოზიდვის მტკიცებულებები. ყოველივე ეს ერთად თავდაჯერებულობას უზრუნველყოფს დაწესებულების მომავლისთვის. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ ფაკულტეტმა განაგრძოს თავისი ძალისხმევა, ყოველწლიურად, დაბალანსებული ფინანსური შედეგების მისაღწევად,
მტკიცებულებები/ინდიკატორები o უნივერსიტეტის ბიუჯეტის დოკუმენტი; o ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პერსონალთან ინტერვიუების შედეგები o თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: 1 . ფაკულტეტის შემოსავლები და ხარჯი და კლინიკური ჰოსპიტალის ინტეგრირება ფაკულტეტის ფისკალურ ცხოვრებაში უნდა იყოს გამჭვირვალე. 2. სუბსიდიების გადანაწილების წესი (ბიუჯეტი); უფრო კონკრეტულად: განყოფილებებს/ერთეულებს შორის შიდა გადანაწილების შესახებ ფაკულტეტის გადაწყვეტილებების წესი უნდა რეგულირდებოდეს; როგორ ხდება იმის უზრუნველყოფა, რომ თითოეულმა ერთეულმა, ყოველწლიურად მიაღწიოს დაბალანსებულ ფინანსურ შედეგებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: დამატებითი დაფინანსების მობილიზების დამატებითი შესაძლებლობის შემთხვევაში, განსაკუთრებით R&D გრანტებისა და სამეცნიერო აქტივობების მხარდაჭერა უნდა მოხდეს, გამჭვირვალე წესით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნეებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურ(ებთ)თან, რომელიც ხელმისაწვდომია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვისას, შეფასების ინსტრუმენტების შექმნისას და შეფასების შედეგების გაანალიზებისას.

პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის დასახვეწად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი პროგრამის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ფაკულტეტი იყენებს ადრეული დიაგნოსტიკის ინსტრუმენტს და ამ ეტაპზე მათ აქვთ დამაიმედებელი შედეგები და ასევე ზომები, რომელთაც ისინი ახორციელებენ პროგრამაში/სტუდენტებისთვის (მაგალითად დამატებითი კურსები სდუტენტებისთვის) ამ შედეგებზე დაყრდნობით. დაწესებულებას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის განყოფილება და ფაკულტეტს აქვს ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით, რომელსაც ხელმძღვანელობს დეკანი. სტუდენტები მონაწილეობენ ხარისხის შეფასებაში, კითხვარების გზით. სტუდენტთა გამოკითხვები, რომლითაც ყურადღება მახვილდება სასწავლო გარემოს სტუდენტთა აღქმის რამდენიმე ასპექტზე, რეგულარულად გროვდება სხვა ინფორმაციასთან ერთად (საგამოცდო ოფისიდან მონაცემები) და შედეგები ანალიზდება რეგულარულ შეხვედრებზე. ამ გამოკითხვების მონაცემები წარმოადგენს მთავარ წყაროს იმ რეკომენდაციებისთვის, რომლებიც ემსახურება სასწავლო პროგრამის გაუმჯობესებასა და მასში ცვლილებების განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების შედეგები (თვითშეფასების ანგარიში); o პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები (თვითშეფასების ანგარიში); o წინა ანალიზების დროს აღმოჩენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად გატარებული აქტივობები და შეტანილი ცვლილებები (განვითარების შეფასების ანგარიში, 2017). o ინტერვიუების შედეგები, დისკუსიები ხარისხის უზრუნველყოფასთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, სტუდენტებთან
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: 1. ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელი არ უნდა იყოს იგივე პიროვნება, რომელსაც დაკისრებული აქვს გლობალური პასუხისმგებლობა უნივერსიტეტში ხარისხიანი გადამზადების უზრუნველსაყოფად. ხარისხის კულტურის კომიტეტის ხელმძღვანელისთვის ვიცე-თავმჯდომარის დანიშვნა დადებითი მაჩვენებელი იქნებოდა ცნობიერებისა, ხარისხის უზრუნველყოფის კულტურის განვითარების საჭიროების მიმართულებით. ეს მოთხოვნა განსაზღვრულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სწავლების ხარისხის კონტროლში ჩართული ყველა პირი დარჩება დამოუკიდებელი და ღია, სფეროში მიმდინარე ნებისმიერი ცვლილებისთვის. 2. განყოფილებების უფროსებს შეუძლიათ წარმოადგინონ ყოველწლიური ანგარიშები, რომელთაც განიხილავენ ფაკულტეტის საბჭოსთან.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

გათვალისწინებულია რეკომენდაციები ექსპერტთა წინა ანალიზიდან (2017წ.). ექსპერტების რჩევა იყო, რომ ფაკულტეტს უნდა უზრუნველეყო კურსების სისტემატური და ანონიმური შეფასებები სტუდენტების მიერ, სასურველია ონლაინ გამოკითხვების გზით, რაც სრულყოფილად განხორციელდა.
შეფასება X მოთხოვნებს შეესაბამება ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტების მიერ ჩამოყაკილბებული რეკომენდაციები წინა შეფასებაში (2017 წლის) მკაცრად იყო გათვალისწინებული. ეს მიუთითებს იმაზე, რომ დაწესებულების მენეჯმენტი სრულად აცნობიერებს მსგავსი გარე შეფასებების მნიშვნელობას. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დაინტერესებული მხარეების სია, როგორებიცაა პოტენციური დამსაქმებლები ან საერთაშორისო აგენტები. როგორც ირკვევა, ეს მხარეები ჩართულები არიან პროგრამის განხილვასა და შემუშავებაში. დაწესებულებას აქვს საკუთარი საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, რომელიც პროგრამისთვის ასევე კარგი „გარე“ მიმომხილველია. ჰოსპიტალის კლინიკური დირექტორი აქტიურად არის ჩართული ფაკულტეტის ცხოვრებაში და ცხადია, რომ ამ გზით მენეჯმენტი იღებს მუდმივ უკუკავშირს კლინიკისგან, პროგრამის განვითარების თაობაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში - გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგები და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებზე დაყრდნობით გატარებული ცვლილებები; o ინტერვიუს შედეგები, დისკუსია ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან
რეკომენდაცები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: არცერთი

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს
შეფასება X მოთხოვნებს შეესაბამება ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
O იგივე რაც ზემოთ ითქვა, დაინტერესებული მხარეები მონაწილეობენ პროგრამის მონიტორინგში - გარდა კურსდამთავრებულებისა (ჯერ არ ჰყავს პროგრამას კურსდამთავრებულები). პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამაში ცვლილებები შევიდა საჭირო დროს, ეს განხილულია თვითშეფასების ანგარიშშიც: (1)გამოკითხეთ პირველი კურსის სტუდენტები („ადრეული დიაგნოსტიკა“ და „დამაკავშირებელი კურსები“) და ასევე ბოლო კურსის სტუდენტები მათ მიერ კომპეტენციების დაუფლებასა და სასწავლო პროგრამისადმი კმაყოფილების შესახებ; (2) სტუდენტთა დატვირთვასთან მიმართებაში კრედიტების განაწილების ადეკვატურობის მონიტორინგი; და (3) პედაგოგიური მოსამზადებელი პროგრამები მასწავლებლებისთვის. ფაკულტეტი მზადაა განაგრძოს ეს ინიციატივები, რაც შეეხება პირველს, მეორე და მესამე დონის სტუდენდების მხრიდან შესრულების კონტროლს შეუძლია აღმოაჩინოს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც უნდა განხორციელდეს სასწავლო პროგრამაზე, ხოლო მომავალი კურსდამთავრებულების უკუკავშირს შეუძლია უზრუნველყოფს სასარგებლო ინფორმაცია სამსახურის მოთხოვნებთან მიმართებაში, ცოდნის, უნარების და დამოკიდებულებების მთლიანი სპექტრის კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში: პროგრამის მონიტორინგი და შედეგების პერიოდული განხილვა, ამ შედეგების გამოყენება;

o კოლეგების განხილვის ანგარიში და 2017 წლის ანგარიშის რეკომენდაციებზე დაყრდნობით განხორციელებული ცვლილებები; o ინტერვიუების შედეგები, დისკუსია აკადემიურ/სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალთან, სწავლის შეფასების შედეგები
რეკომენდაციები: არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს არამხოლოდ სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებზე, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებასა და სტუდენტთან დაკავშირებული შემთხვევითი პრობლემების გამოსწორებაზე, არამედ მუდმივ და სისტემატურ მონიტორინგს უნდა აწარმოებდეს სასწავლო პროგრამაზე, მათ შორის საჭიროა ინოვაციური წინადადებები, რათა გაიზარდოს სასწავლო პროგრამის ხარისხი და საერთაშორისო ცნობადობა. სამიზნე ნიშნულების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკების მოძიებას.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არსებობს
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში): არ არის

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: მედიცინის სადოქტორო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 32

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1 . პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		x		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა		x		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მიჰალი ბოროშ,

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

სალომე ხუბულავა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ივანე აბიათარი

სახელი, გვარი, ხელმოწერა